საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

სახმელეთო ტრანსპორტის
სააგენტო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

LAND TRANSPORT
AGENCY

0160, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16
16, Vazha-pshavela ave., Tbilisi, GEO-0160, Georgia

www.lta.gov.ge
mail: chancellery@lta.gov.ge

ტელ/ Tel: (995 32) 36-55-04, 51-06-71
ფაქსი/Fax: (995 32) 51-06-64, 51-06-71

„09" 12 2013წ. № 01/1040

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ გიორგი მარგველაშვილს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, კერძოდ:

1. კოდექსის 49-ე მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებთან დაკავშირებით:

– საანგარიშო პერიოდში (2012 წლის 10 დეკემბრიდან-2013 წლის 10 დეკემბრამდე) სააგენტოში შემოსულია 16 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, აქედან ერთი განცხადება შემოვიდა ელექტრონულად;

– თითოეული განცხადების შესაბამისად გაიცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია;

– საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევა სააგენტოში არ დაფიქსირებულა.

– მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სააგენტოს დირექტორის, სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილის (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი) ირინე გიორგობიანის და სააგენტოს დირექტორის მრჩევლის (საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი) დავით ხუფენიას მიერ.

2. კოდექსის 49-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტთან დაკავშირებით:

– სააგენტოში შექმნილია საჯარო მონაცემთა ბაზები. სააგენტოს ყველა თანამშრომელზე შეგროვებული და დამუშავებულია პერსონალური მონაცემები. იგივე ხდება ახალი თანამშრომლის მიღებისას. ინფორმაცია თანამშრომლების პერსონალური მონაცემების აღნიშნული საინფორმაციო ბაზისა და მასში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ყოველკვარტალურად მიეწოდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შემდგომში საჯარო სამსახურის ბიუროსათვის მიწოდების მიზნით.

3. რაც შეეხება 49-ე მუხლის „დ“, „ე“ „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებს – ასეთი შემთხვევები სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში არ დაფიქსირებულა.

პატივისცემით,

სააგენტოს დირექტორი

მიხეილ ხმალაძე